ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032505713-03
თარიღი: 26.02.2025 11:21
ვადა: 28.03.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0125057370 განცხადების თარიღი: 26.02.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესი;

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032505713-03
26.02.2025 : 11:21
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0125057370**
თარიღი: **26/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, განმარტებით ბარათსა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2025 წლის 25 თებერვლის N 25.238.285 განკარგულებას.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.238.285
25 / თებერვალი / 2025 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ემუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

2025 წლის ------

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა“ პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 27) განხორციელების წესი“, ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

1. დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (კოდი: 06 02 27) (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების ბაზისურ პრინციპებს, პროცედურებს და მიმწოდებლების შერჩევის კრიტერიუმებს.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანა

1. ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტის საშუალებით.

2. ქვეპროგრამის ამოცანაა, ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პერსონალური ასისტენტის სერვისი – სერვისი (მომსახურება), რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას;

ბ) რეგულარული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას. ამ დროს, საკმარისია ზოგადი/ძირითადი მოსამზადებელი სატრენინგო კურსის გავლა;

გ) სპეციალიზებული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას-სატრენინგო კურსის გავლას;

დ) მიმწოდებელი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირი (ორგანიზაცია);

ე) განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური;

ვ) მომსახურების მიმღები - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული), 18 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით (ფორმა №IV-50/2) დაუდგინდა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი;

ზ) მომსახურების მაძიებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველი პირი;

თ) მოსარგებლე - პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმღები პირი;

ი) მომლოდინე - პირი, რომელიც აკმაყოფილებს ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და აქვს მომსახურების მიღების საჭიროების შეფასების დადებითი დასკვნა, მაგრამ მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობიდან და მიმწოდებელთა არასაკმარისი რესურსიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მისი ქვეპროგრამაში ჩართვა;

კ) სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ლ) სააგენტო - სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

მუხლი 4. ქვეპროგრამის მოსარგებლედ ჩართვის კრიტერიუმები

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეა:

ა) 18 წელს მიღწეული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მიმწოდებლისთვის მიმართვის მომენტისთვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში.

ბ) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი და აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლედ ვერ ჩაერთვებიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც უკვე ჩართულები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრაში, სხვა მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებად „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ ან სამინისტროს მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამაში.

მუხლი 5. მიმწოდებლად ჩართვის კრიტერიუმები და ფუნქცია-მოვალეობანი

1. მიმწოდებელია - იურიდიული პირი (ორგანიზაცია), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილი წესით, წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

2. მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს რეგულარული და სპეციალიზებული ასისტირების მომსახურების მიმწოდებელი ასისტენტები.

3. მიმწოდებელი ვალდებულია განმახორციელებელს წარუდგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაუშვებელია წარმოდგენილისაგან განსხვავებული სპეციალისტების ჩართვა მომსახურების გაწევისას.

4. ქვეპროგრამაში ჩართული მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს მოსარგებლე და მომლოდინე პირთა საერთო სია, რომელსაც ყოველი თვის პირველ რიცხვში წარუდგენს განმახორციელებელს.

მუხლი 6. მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. მომსახურების მაძიებელი პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმწოდებელს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვის განაცხადი;

ბ) ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში:

გ.ა) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას;

გ.ბ) წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება ამავე წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს;

2. მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აცნობებს განმცხადებელს, რომ შეფასების პროცედურის გასავლელად მიმართოს უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას და ასისტირების ტიპს. განმცხადებელს ასევე ეცნობება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის შესახებ.

3. მაძიებელი პირის შეფასების შემდგომ, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს მიმწოდებელთან.

4. მიმწოდებელი წერილობით მიმართავს განმახორციელებელს მაძიებელი პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, რასაც თან ერთვის განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია.

5. განმახორციელებელი იღებს გადაწყვეტილებას: მაძიებლის მოსარგებლედ/მომლოდინედ რეგისტრაციის ან პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობებათ განმცხადებელსა და მიმწოდებელს.

6. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაო ფორმებს ამტკიცებს განმახორციელებელი.

მუხლი 7. პერსონალური ასისტენტის შერჩევა და სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმება

1. შეტყობინების მიღების შემდეგ, მომსახურების მიმღებმა უნდა მიმართოს მიმწოდებელს, პერსონალური ასისტენტის შერჩევისა და პირობების შეთანხმების მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

2. შეთანხმების მიღწევის შემდეგ ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებს შორის.

მუხლი 8. მომსახურების შეჩერება და შეწყვეტა

1. მომსახურების შეჩერების საფუძვლებია:

ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება;

ბ) გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტირების ტიპის ცვლილებას;

2. მომსახურების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება;

ბ) მომსახურების ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა;

გ) მომსახურების მიმღების რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას;

დ) მოსარგებლის მიერ სამმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა;

ე) მოსარგებლე ერთვება სხვა მსგავს პროგრამაში;

ვ) გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის შედეგადაც მოსარგებლე ვეღარ აკმაყოფილებს ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს;

ზ) მოსარგებლის გარდაცვალება.

მუხლი 9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი და შესრულებული სამუშაოს წარდგენა

1. ქვეპროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით.

2. პერსონალური ასისტენტის მომსახურება ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის ფორმით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული მოცულობით.

3. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

4. გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ (ბენეფიციართა რეესტრი და მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

მუხლი 10. კონტროლის განხორციელება

1. წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი ხორციელდება განმახორციელებლის პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით, სატელეფონო კომუნიკაციის ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტის განხორციელების საშუალებით.

2 შემთხვევის ადგილზე ვიზიტით შემოწმებისას, ხორციელდება მოსარგებლესთან მონიტორინგის განყოფილების წარმომადგენლის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლესთან ან/და მიმწოდებელთან გასაუბრება.

3 განმახორციელებელი არ ახდენს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სსიპ - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს" რეგულირების სფეროს მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით დადგენილი პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგს. ასევე, ნებისმიერი საქმიანობის მონიტორინგს, რასაც ესაჭიროება სამედიცინო ცოდნა ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ლიცენზიის ან/და ნებართვის მოპოვება.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. დადგენილების ამოქმედებისთანავე, ქვეპროგრამის მიმწოდებლებად განისაზღვრონ ორგანიზაციები, რომლებიც სამინისტროს მიერ რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლებად.

2. დადგენილების ამოქმედებისთანავე, მოსარგებლეებად განისაზღვრონ პირები, რომლებიც სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირებისგან (ორგანიზაცია) იღებენ პერსონალური ასისტენტის მომსახურებას.

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ემუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N 1/ნ ბრძანების გათვალისწინებით, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებას, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებენ მუნიციპალიტეტები. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული სერვისის მიწოდებას, ქვეპროგრამის სახით.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია პერსონალური ასისტენტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხელსაყრელი პროექტების შექმნა, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის თანახმად, მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (კოდი:06 02 27) განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების ბაზისურ პრინციპებს, პროცედურებსა და მიმწოდებლების შერჩევის კრიტერიუმებს.

ქვეპროგრამის ამოცანაა, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

წესის მე-3 მუხლი ადგენს ამ წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობებს. ხოლო მე-4 მუხლი განსაზღვრავს ქვეპროგრამის მოსარგებლედ ჩართვის კრიტერიუმებს. ქვეპროგრამის მოსარგებლეები იქნებიან 18 წელს მიღწეული და უფროსი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მიმწოდებლისთვის მიმართვამდე, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისთვის რეგისტრირებულნი იქნებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. ამასთან, იმისათვის რომ პირი ქვეპროგრამის მოსარგებლე გახდეს, საჭიროა არსებობდეს ცნობა/დასკვნა, რომლის მიხედვითაც, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

წესის მიხედვით, ქვეპროგრამის მოსარგებლეებად ვერ ჩაერთვებიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ისეთი პირები, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრაში, სხვა მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებად „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ ან სამინისტროს მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში, ვინაიდან, აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ მომსახურებასაც, რაც გამორიცხავს ორივე მათგანში ჩართვის საჭიროებას.

წესი განსაზღვრავს მიმწოდებლად ჩართვის კრიტერიუმებსა და მიმწოდებელთა ფუნქცია-მოვალეობებსაც. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირი (ორგანიზაცია), განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით უნდა ეთანხმებოდეს ვაუჩერის პირობებს და დადგენილი წესით, წერილობით უდასტურებდეს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს. ამასთან, მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს რეგულარული და სპეციალიზებული ასისტირების მომსახურების მიმწოდებელი ასისტენტები. მიმწოდებელი ვალდებულია, ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაუშვებელია წარმოდგენილისაგან გასხვავებული სპეციალისტების ჩართვა მომსახურების გაწევისას.

ქვეპროგრამაში ჩართულმა მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს მოსარგებლე და მომლოდინე პირთა საერთო სია, რომელსაც ყოველი თვის პირველ რიცხვში წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს.

რაც შეეხება, მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურებსა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, მომსახურების მაძიებელ პირს, მის მხარდამჭერს, კანონიერ წარმომადგენელს (ასეთების არსებობის შემთხვევაში) შესაძლებლობა ექნებათ განცხადებით მიმართონ მიმწოდებელ დაწესებულებას. დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვის განაცხადის, ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტისაგან. ხოლო, კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში, დამატებით წარმოსადგენი იქნება დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას, ასევე წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

წესის მიხედვით, მიმწოდებელი განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აცნობებს განმცხადებელს, რომ შეფასების პროცედურის გასავლელად მიმართოს უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას და ასისტირების ტიპს. განმცხადებელს ასევე ეცნობება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის შესახებაც. მაძიებელი პირის შეფასების შემდგომ, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას, რომელიც ასევე წარდგენილ უნდა იქნეს მიმწოდებელ დაწესებულებაში. საბოლოოდ კი, მიმწოდებელი წერილობით მიმართავს განმახორციელებელს მაძიებელი პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, რასაც თან დაერთვება განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია.

საბოლოო გადაწყვეტილებას, მაძიებლის მოსარგებლედ/მომლოდინედ რეგისტრაციის ან პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, მიიღებს განმახორციელებელი. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობებათ განმცხადებელსა და მიმწოდებელს.

წესის მე-7 მუხლით განისაზღვრება პერსონალური ასისტენტის შერჩევის პრცედურაც, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგაც ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებს შორის. ქვეპროგრამაში მოსარგებლედ ჩართვის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, მომსახურების მიმღებმა უნდა მიმართოს მიმწოდებელ დაწესებულებას, პერსონალური ასისტენტის შერჩევისა და პირობების შეთანხმების მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N01-13/ნ ბრძანების შესაბამისად.

წესის მე-8 მუხლით გაწერილია მომსახურების შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობებიც. კერძოდ, მომსახურების შეჩერების საფუძვლები იქნება: მოსარგებლე პირის პირადი განცხადება და გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტირების ტიპის ცვლილებას. ხოლო, მომსახურების შეწყვეტის საფუძველი იქნება მოსარგებლე პირის პირადი განცხადება, მომსახურების ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა, მომსახურების მიმღების რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, მოსარგებლის მიერ სამმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა, მოსარგებლის ჩართვა სხვა მსგავს პროგრამაში, გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის შედეგადაც მოსარგებლე ვეღარ დააკმაყოფილებს ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს, მოსარგებლის გარდაცვალება.

რაც შეეხება, ქვეპროგრამის ბიუჯეტსა და შესრულებული სამუშაოს წარდგენას, ქვეპროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით. პერსონალური ასისტენტის მომსახურება დაფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის ფორმით.

მომსახურების დაფინანსება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N01-13/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის მიხედვით. გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ (ბენეფიციართა რეესტრი და მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი განხორციელდება სამსახურის პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ, შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე, შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით, სატელეფონო კომუნიკაციის ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტის განხორციელების საშუალებით, რომლის დროსაც მოსარგებლესთან მიდის მონიტორინგის განყოფილების წარმომადგენლი და ახდენს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმებას, საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლესთან ან/და მიმწოდებელთან გასაუბრებას.

აღსანიშნავია რომ, განმახორციელებელი არ მოახდენს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სსიპ - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ რეგულირების სფეროს მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით დადგენილი პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის,

მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგს. ასევე, ნებისმიერი საქმიანობის მონიტორინგს, რასაც ესაჭიროება სამედიცინო ცოდნა ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ლიცენზიის ან/და ნებართვის მოპოვება. სამედიცინო საქმიანობის კონტროლი, რომელსაც ესაჭირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებართვები, ექვემდებარება სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სსიპ - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ რეგულირების სფეროს. შესაბამისად, სამსახური აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს არ განახორციელებს.

წესის მე-11 მუხლში მოცემულია გარდამავალი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს უფლებამოსილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე დელეგირებამდე, სამინისტროს მიერ ადმინისტრირებადი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდების პროცესში ჩართული მიმწოდებლებისა და მოსარგებლეების სამართლებრივ მდგომარეობას. კერძოდ, დადგენილების ამოქმედებისთანავე, ქვეპროგრამის მიმწოდებლებად განისაზღვრებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც სამინისტროს მიერ რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლებად. ასევე, მოსარგებლეებად განისაზღვრებიან პირები, რომლებიც სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პიებისგან იღებენ პერსონალური ასისტენტის მომსახურებას.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

2025 წლის ------

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა“ პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 27) განხორციელების წესი“, ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

1. დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (კოდი: 06 02 27) (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების ბაზისურ პრინციპებს, პროცედურებს და მიმწოდებლების შერჩევის კრიტერიუმებს.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანა

1. ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტის საშუალებით.

2. ქვეპროგრამის ამოცანაა, ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პერსონალური ასისტენტის სერვისი – სერვისი (მომსახურება), რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას;

ბ) რეგულარული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას. ამ დროს, საკმარისია ზოგადი/ძირითადი მოსამზადებელი სატრენინგო კურსის გავლა;

გ) სპეციალიზებული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას-სატრენინგო კურსის გავლას;

დ) მიმწოდებელი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირი (ორგანიზაცია);

ე) განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური;

ვ) მომსახურების მიმღები - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული), 18 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით (ფორმა №IV-50/2) დაუდგინდა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი;

ზ) მომსახურების მაძიებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველი პირი;

თ) მოსარგებლე - პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმღები პირი;

ი) მომლოდინე - პირი, რომელიც აკმაყოფილებს ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და აქვს მომსახურების მიღების საჭიროების შეფასების დადებითი დასკვნა, მაგრამ მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობიდან და მიმწოდებელთა არასაკმარისი რესურსიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მისი ქვეპროგრამაში ჩართვა;

კ) სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ლ) სააგენტო - სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

მუხლი 4. ქვეპროგრამის მოსარგებლედ ჩართვის კრიტერიუმები

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეა:

ა) 18 წელს მიღწეული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მიმწოდებლისთვის მიმართვის მომენტისთვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში.

ბ) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი და აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლედ ვერ ჩაერთვებიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც უკვე ჩართულები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრაში, სხვა მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებად „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ ან სამინისტროს მიერ ადმინისტრირებად „შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამაში.

მუხლი 5. მიმწოდებლად ჩართვის კრიტერიუმები და ფუნქცია-მოვალეობანი

1. მიმწოდებელია - იურიდიული პირი (ორგანიზაცია), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილი წესით, წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

2. მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს რეგულარული და სპეციალიზებული ასისტირების მომსახურების მიმწოდებელი ასისტენტები.

3. მიმწოდებელი ვალდებულია განმახორციელებელს წარუდგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაუშვებელია წარმოდგენილისაგან განსხვავებული სპეციალისტების ჩართვა მომსახურების გაწევისას.

4. ქვეპროგრამაში ჩართული მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს მოსარგებლე და მომლოდინე პირთა საერთო სია, რომელსაც ყოველი თვის პირველ რიცხვში წარუდგენს განმახორციელებელს.

მუხლი 6. მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. მომსახურების მაძიებელი პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმწოდებელს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვის განაცხადი;

ბ) ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში:

გ.ა) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას;

გ.ბ) წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება ამავე წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს;

2. მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აცნობებს განმცხადებელს, რომ შეფასების პროცედურის გასავლელად მიმართოს უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას და ასისტირების ტიპს. განმცხადებელს ასევე ეცნობება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის შესახებ.

3. მაძიებელი პირის შეფასების შემდგომ, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს მიმწოდებელთან.

4. მიმწოდებელი წერილობით მიმართავს განმახორციელებელს მაძიებელი პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, რასაც თან ერთვის განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია.

5. განმახორციელებელი იღებს გადაწყვეტილებას: მაძიებლის მოსარგებლედ/მომლოდინედ რეგისტრაციის ან პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობებათ განმცხადებელსა და მიმწოდებელს.

6. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაო ფორმებს ამტკიცებს განმახორციელებელი.

მუხლი 7. პერსონალური ასისტენტის შერჩევა და სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმება

1. შეტყობინების მიღების შემდეგ, მომსახურების მიმღებმა უნდა მიმართოს მიმწოდებელს, პერსონალური ასისტენტის შერჩევისა და პირობების შეთანხმების მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

2. შეთანხმების მიღწევის შემდეგ ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებს შორის.

მუხლი 8. მომსახურების შეჩერება და შეწყვეტა

1. მომსახურების შეჩერების საფუძვლებია:

ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება;

ბ) გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტირების ტიპის ცვლილებას;

2. მომსახურების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება;

ბ) მომსახურების ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა;

გ) მომსახურების მიმღების რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას;

დ) მოსარგებლის მიერ სამმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა;

ე) მოსარგებლე ერთვება სხვა მსგავს პროგრამაში;

ვ) გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის შედეგადაც მოსარგებლე ვეღარ აკმაყოფილებს ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს;

ზ) მოსარგებლის გარდაცვალება.

მუხლი 9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი და შესრულებული სამუშაოს წარდგენა

1. ქვეპროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით.

2. პერსონალური ასისტენტის მომსახურება ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის ფორმით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული მოცულობით.

3. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

4. გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ (ბენეფიციართა რეესტრი და მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

მუხლი 10. კონტროლის განხორციელება

1. წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი ხორციელდება განმახორციელებლის პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით, სატელეფონო კომუნიკაციის ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტის განხორციელების საშუალებით.

2 შემთხვევის ადგილზე ვიზიტით შემოწმებისას, ხორციელდება მოსარგებლესთან მონიტორინგის განყოფილების წარმომადგენლის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლესთან ან/და მიმწოდებელთან გასაუბრება.

3 განმახორციელებელი არ ახდენს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სსიპ - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ რეგულირების სფეროს მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით დადგენილი პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგს. ასევე, ნებისმიერი საქმიანობის მონიტორინგს, რასაც ესაჭიროება სამედიცინო ცოდნა ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ლიცენზიის ან/და ნებართვის მოპოვება.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. დადგენილების ამოქმედებისთანავე, ქვეპროგრამის მიმწოდებლებად განისაზღვრონ ორგანიზაციები, რომლებიც სამინისტროს მიერ რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლებად.

2. დადგენილების ამოქმედებისთანავე, მოსარგებლეებად განისაზღვრონ პირები, რომლებიც სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირებისგან (ორგანიზაცია) იღებენ პერსონალური ასისტენტის მომსახურებას.